



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

„-----“-----“ 2012 წელი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № ---

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-სთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19<sup>1</sup> (პრიმა) მუხლის მე-7 პუნქტის, 19<sup>5</sup> მუხლის მე-6 პუნქტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ №42 დადგენილების შესაბამისად:

## გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება ქ. ოზურგეთის გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3 მდებარე შენობა-ნაგებობის პირველი სართულის ოთხი ოთახი საერთო ფართობით 59.10კვმ. და მეორე სართულზე მდებარე ერთი ოთახი ფართობით 13კვმ. (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №01, ნაკვეთი №367, უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882008281160, მომზადების თარიღი 23/09/2008წ.) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტით სახით, იურიდიული პირის არსებობის ვადით.

**მუხლი 2.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი